ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №3041209

ნომერი: AR1469738

თარიღი : 10.01.2017

გაცემის თარიღი : 24.01.2017

გაცნობის თარიღი : 05.02.2017

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , გზატკეცილი წყნეთი , N 7 ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ზაზა უნგიაძე პ/ნ 01005017683
- წყნეთის გზატკეცილი #7

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ტექნიკური ხარვეზის გასწორება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

ვბრძანებ

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 09/09/2016 წლის №2824694 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების თაობაზე
ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 10/01/2016 წლის №AR1469738 განაცხადით მომართა ზაზა უნგიაძემ და მოითხოვა ამავე სამსახურის 09/09/2016 წლის

№2824694 ბრძანების ტექნიკურ–ეკონომიკურ მაჩვენებლებში ტექნიკური შეცდომის გასწორება.
სამსახურმა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96–ე მუხლის თანახმად, შეისწავლა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ სამსახურის 09/09/2016 წლის №2824694 ბრძანებით ქ. თბილისში, სექტორი – ვაკე, წყნეთის გზატკეცილი, №7-ში, შპს „ალფა ჰოლდინგ საქართველოს" კუთვნილ მიწის ნაკვეთზე (საკ. კოდი: №01.14.07.003.030) შეთანხმდა მრავალფუნქციური საცხოვრებელი სახლის კორექტირებული არქიტექტურული პროექტი.

განმცხადებლის განმარტებით, სამსახურის 09/09/2016 წლის №2824694 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომაა, კერძოდ: ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებში საზაფხულო ფართობი დაფიქსირებულია არასწორად და ნაცვლად 943.3 კვ.მ.-ისა უნდა იყოს 843.3 კვ.მ. წინამდებარე განცხადებით მოთხოვნილია აღნიშნული ტექნიკური შეცდომის გასწორება.
სამსახურმა განმცხადებლის მოთხოვნისა და შესაბამისი საპროექტო დოკუმენტაციის შესწავლის შედეგად დაადგინა, რომ განმცხადებლის მოთხოვნა საფუძვლიანია და წარმოდგენილი მაჩვენებელი შეესაბამება საპროექტო დოკუმენტაციას, შესაბამისად, სამსახურმა მიზანშეწონილად ჩათვალა დააკმაყოფილოს განმცხადებლის მოთხოვნა და გაასწოროს ტექნიკური შეცდომა მის მიერ გამოცემულ ადმინისტრაციულ–სამართლებრივ აქტში. ამასთან, საზაფხულო ფართობის მაჩვენებლის ცვლილება იწვევს საერთო ფართობის მაჩვენებლის ცვლილებასაც, რომელიც შეადგენს 6611,7 კმ.მ-ს.
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59–ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციულ–სამართლებრივ აქტში ტექნიკური შეცდომის გასწორების უფლება აქვს მის გამომცემ ადმინისტრაციულ ორგანოს.
ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59–ე მუხლის თანახმად,
ვბრძანებ:
1. გასწორდეს ტექნიკური შეცდომა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 09/09/2016 წლის №2824694 ბრძანებაში და ტექნიკურ–ეკონომიკურ მაჩვენებლებში დაფიქსირდეს: საზაფხულო ფართობი - 843.3 კვ.მ, საერთო ფართობი - 6611,7 კვ.მ.
2. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 09/09/2016 წლის №2824694 ბრძანება დანარჩენ ნაწილში დარჩეს უცვლელი.
3. წინამდებარე ბრძანება განხილულ იქნას ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 09/09/2016 წლის №2824694 ბრძანებასთან ერთად.
4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის მერთან (მის.: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა №7), საქართველოს